წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

განკარგულება:**g-119. 11926170001**

თარიღი:**19/06/2026**

წალკის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ელ. ტენდერში (სატენდერო განცხადების ნომერი: NAT260009318) გამოვლენილ გამარჯვებულ შპს ,,ჯავახავტოგზასთან“ ხელშეკრულების გაფორმებაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტისა და „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა,**

1. მიეცეს თანხმობა წალკის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ილია საბაძეს წალკის მუნიციპალიტეტის ელექტრონულ ტენდერში (სატენდერო განცხადების №NAT260009318) გამოვლენილ გამარჯვებულ შპს ,,ჯავახავტოგზასთან“ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი